საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ 202178927

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030419572169819

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/63341 **09 / დეკემბერი / 2019 წ.**

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს, ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში მიმდინარე პროცესების კომპლექსურობიდან გამომდინარე, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ახორციელებს პრიორიტეტულ სახელმწიფო პროგრამებს, რომელიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს, როგორიცაა, სახელმწიფო გასაცემლების, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის ადმინისტრირების, ჯანდაცვის ე. წ. „ვერტიკალური პროგრამების“, მეურვეობა-მზრუნველობის და სხვა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო პროგრამების მართვა, რაც თავისთავად მოითხოვს სამორიგეო ავტომობილების ყოველდღიურ გამოყენებას, სხვადასხვა სახის დავალების შესასრულებლად.

აქვე გაცნობეთ, რომ მიმდინარე ეტაპზე, სააგენტოს ბალანსზე ირიცხება რამდენიმე მოძველებული ავტომანქანა, რომლებსაც ხშირად ესაჭიროება სარემონტო სამუშაოები და მათი შეკეთების შემთხვევაშიც, მაღალია ხელახალი დაზიანების რისკი, აღნიშნული კი, თავის მხრივ, დამატებითი ხარჯის გაღების აუცილებლობას წარმოშობს. ამდენად, სააგენტოს გამართული ფუნქციონირებისა და ზემოხსენებულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, 6 (ექვსი) ერთეული ახალი, მსუბუქი სამორიგეო ავტომობილის შესყიდვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ მიმწოდებლების წინაშე, რათა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შესყიდულ იქნეს სედანის ტიპის 6 (ექვსი) ერთეული ავტომანქანა, CON190000362 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში.

წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით,

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი წოწკოლაური